



# ინფორმაცია 2022 წლის შემოდგომაზე კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი პირებისთვის

## მოკლედ მთავარის შესახებ

- მაღალი რისკის ჯგუფში მყოფ პირებს შეუძლიათ 2022 წლის შემოდგომაზე რევაქცინაციით მინიმუმ რამოდენიმე თვით გააუმჯობესონ დაცვა დაავადების მძიმე მიმდინარეობისგან
- 2022 წლის შემოდგომაზე მაღალი რისკის ჯგუფში მყოფ პირებისთვის რეკომენდებულია გაიარონ რევაქცინაცია:
  - 65 წელს ზემოთ პირებისთვის
  - გარკვეული ქრონიკული დაავადების მქონე 16 წელს ზემოთ პირებისთვის
  - ტრისომია 21-ის მქონე 16 წელს ზემოთ პირებისთვის
  - ფეხმძიმე ქალებისთვის
- კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია უსაფრთხოა – ისევე როგორც ქრონიკული დაავადებების მქონე<sup>1</sup> ხანდაზმული ადამიანებისთვის და ფეხმძიმე ქალებისთვის.
- დამატებითი ინფორმაცია იხილეთ → [საინფორმაციო ბუკლეტი](#)

## რომელი პირები მიეკუთვნებიან მაღალი რისკის ჯგუფს?

- 65 წელს ზემოთ პირები
- შემდეგი ქრონიკული დაავადებების მქონე 16 წელს ზემოთ პირები:
  - მაღალი არტერიული წნევა
  - სისხლძარღვთა დაავადებები
  - დიაბეტი
  - ფილტვების და სასუნთქი გზების დაავადებები
  - კიბო
  - იმუნური სისტემის დამაქვეითებელი დაავადებები და თერაპიები
  - ჭარბწონიანობა (BMI  $\geq 35$  კგ /მ<sup>2</sup>)
  - თირკმლების უკმარისობა
  - ღვიძლის ციროზი
- ტრისომია 21-ის მქონე 16 წელს ზემოთ პირები
- ფეხმძიმე ქალები

## რას ნიშნავს «მაღალი რისკის ჯგუფი»?

კორონავირუსით დაინფიცირებისას არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ კოვიდ-19-ის დაავადება გართულდება და მძიმედ ჩაივლის. ადრე ჩატარებული ვაქცინაციის დაცვითი ეფექტი შეიძლება შემცირდეს. კოვიდ-19 დაავადებას შესაძლებელია მწვავე ან ძალიან მწვავე შედეგები მოჰყვეს. როგორცაა მაგალითად, ფილტვების ანთება სუნთქვის გაძნელებით. შესაძლოა, რომ თქვენ დაგჭირდეთ ჟანგბადი და ჰოსპიტალიზაცია. სავარაუდოა, რომ გამოჯანმრთელების პროცესიც გახანგრძლივდეს. თუ კოვიდ-19-ით გამოწვეული დაავადება გართულდა, თქვენი მკურნალობა უნდა გაგრძელდეს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. ასევე შესაძლებელია, რომ ხელოვნური სუნთქვა დაგჭირდეთ. კოვიდ-19-ს შეუძლია ორგანოების დაზიანება, რამაც შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს. მძიმედ დაინფიცირების შემდეგ შესაძლოა წარმოიშვას ჯანმრთელობის გრძელვადიანი პრობლემებიც (კოვიდ-19-ის შემდგომი დაავადება), როგორცაა ქოშინი შრომატევადი აქტივობის დროს, გადაღლილობა ან კონცენტრაციის პრობლემები.

<sup>1</sup> დაავადებების დეტალური სია იხილეთ აქ: [მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი პირები](#)

## რატომ არის რეკომენდებული რევაქცინაცია 2022 წლის შემოდგომაზე?

დახურულ სივრცეში კონტაქტების მომატების შედეგად 2022 წლის შემოდგომიდან სავარაუდოდ კვლავ გაიზრდება ადამიანიდან ადამიანზე კორონავირუსის გადაცემა. შესაბამისად, კოვიდ-19-ით დაინფიცირების ან დაავადების რისკი კვლავ მაღალი იქნება ზამთრის სეზონზე. თქვენს შემთხვევაში მძიმე ფორმით დაინფიცირების და ადრე ჩატარებული ვაქცინაციის დაცვითი ეფექტის შემცირების ალბათობა მაღალია. ვაქცინაცია დროებით უზრუნველყოფს გაუმჯობესებულ დაცვას მძიმე დაავადებისა და გართულებებისგან. ვაქცინაციით ასევე შეამცირებთ შესაძლო გრძელვადიანი შედეგების რისკს (კოვიდ-19-ის შემდგომი დაავადება).

## როდის უნდა ჩატარდეს რევაქცინაცია?

2022 წლის შემოდგომაზე რევაქცინაცია შესაძლებელია ჩაიტაროთ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ბოლო აცრიდან 4 თვის გასვლის შემდეგ ან ინფექციის დადასტურებიდან 4 თვეში.

ეს ასევე ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც მაღალი რისკის ჯგუფში არიან და რომლებმაც უკვე მეორედ გაიარეს რევაქცინაცია. ამ გზით თქვენ შეგიძლიათ გააუმჯობესოთ დაცვა დაავადების მძიმე მიმდინარეობისგან. ვაქცინაცია სხვა ინაქტივირებული ვაქცინებით (როგორცაა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა) შეიძლება ჩატარდეს პარალელურად, ისევე როგორც კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციამდე ან მის შემდეგ.

**გაითვალისწინეთ:** გაქვთ მაღალი სიცხე? ავად ხართ და თავს შეუძლოდ გრძნობთ? ამ შემთხვევაში გადაავადეთ ვაქცინაცია.



**რომელი ვაქცინა არის რეკომენდებული?**

შემოდგომაზე ვაქცინაციისთვის რეკომენდებულია ვარიანტებზე ადაპტირებული (ბივალენტური) მრნა-ვაქცინის გამოყენება ან ნოვავაქსის პროტეინის მრნა-ვაქცინა, თუ ეს ხელმისაწვდომია. ამასთან არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი ვაქცინა იყო გამოყენებული ადრე ჩატარებული აცრების დროს.

2022 წლის შემოდგომაზე მრნა-ვაქცინით (ფაიზერი/ ბაიონტექი ან მოდერნა) ვაქცინაციის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აქამდე არსებული (მონოვალენტური) ისევე როგორც ვარიანტებზე ადაპტირებული (ბივალენტური) მრნა-ვაქცინები. დღეისთვის არსებული მონაცემები უჩვენებენ, რომ მრნა-ვაქცინები ომიკრონის ვარიანტის შემთხვევაშიც უზრუნველყოფენ დაცვას მძიმე დაავადებისა და ჰოსპიტალიზაციისგან.

მნიშვნელოვანია: ფეხმძიმე და მეძუძური ქალების ვაქცინაცია ხდება მრნა-ვაქცინით (და არა ნოვავაქსის პროტეინის ვაქცინით).

**თუ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ არ ვარ ვაქცინირებული?**

მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი ნებისმიერი არავაქცინირებული პირისთვის რეკომენდებულია 2022 წლის შემოდგომაზე კოვიდ-19-ის ორი დოზით ვაქცინაცია 4 კვირიანი შუალედით.<sup>2</sup>

**რომელი დამატებითი ზომები მივიღო თავის დასაცავად?**

თუ თქვენ მაღალი რისკის ჯგუფში მყოფ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებით, შეგიძლიათ დამატებითი ზომების საშუალებით (მაგ. პირბადის ტარება დახურულ სივრცეებში) დაიცვათ თავი კორონავირუსით დაინფიცირებისგან. გაითვალისწინეთ ჩვენი ძირითადი რეკომენდაციები. → ვებგვერდი «So schützen wir uns». (ასე დავიცავთ თავს)

**რა ეხება მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი ადამიანების მომვლელებს?**

რევაქცინაცია რეკომენდებულია ყველა იმ მომვლელისთვის და ჯანდაცვის პროფესიონალი მომვლელისთვის, რომელსაც სურს შეამციროს დაინფიცირების რისკი, რათა შეძლოს მაღალი რისკის ჯგუფში მყოფ ადამიანებზე ზრუნვა და უზრუნველყოს მათი ჯანმრთელობის დაცვა. ვაქცინაცია უზრუნველყოფს მომვლელის დაბალ და მოკლევადიან დაცვას დაინფიცირების მსუბუქი ფორმებისგან. დღეისთვის არსებული ვირუსის ვარიანტების სხვა ადამიანებზე გადაცემის თავიდან აცილება ვაქცინაციის საშუალებით თითქმის შეუძლებელია.

**დამატებითი ინფორმაცია**

**ხარჯები:** კოვიდ-19-ის საწინააღმდეგოდ რეკომენდებული ვაქცინაცია თქვენთვის უფასოა.

**სად ტარდება ვაქცინაცია:** ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად ტარდება ვაქცინაცია, მიიღებთ შემდეგ ვებგვერდზე ([www.foph-coronavirus.ch/cantons](http://www.foph-coronavirus.ch/cantons)) ან თქვენი კანტონის საინფორმაციო ცხელ ხაზზე

დამატებითი ინფორმაცია კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით იხილეთ ჯანდაცვის ფედერალური უწყების გვერდზე (FOPH): [www.foph-coronavirus.ch/vaccination](http://www.foph-coronavirus.ch/vaccination) ან მიმართეთ თქვენს ექიმს. ან მიმართეთ აფთიაქს.

**ლინკები:**

- როგორ ტარდება კოვიდ-19-ის ვაქცინაცია | Frequently Asked Questions (FAQs) ([admin.ch](http://admin.ch))
- ხშირად დასმული კითხვები | How does the COVID-19 vaccination work? | FOPH ([foph-coronavirus.ch](http://foph-coronavirus.ch))



<sup>2</sup> 30 წელს ზემოთ პირებისთვის სასურველია ფაიზერი/ ბაიონტექი